ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №291793

ნომერი: AR169402

თარიღი : 27.07.2012

გაცემის თარიღი : 03.08.2012

გაცნობის თარიღი : 06.08.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სტანისლავსკი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემინი მამედოვი პ/ნ 01015001956
- თბილისი ნ.ქუმსიაშვილის ქ. N 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა დემონტაჟი

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ, რომ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლინდა შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ:

1. საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად 01.08.2012წ. მოხდა ნაკვეთების გაერთიანება (მიწის ნაკვეთის გაზრდა) და საკადასტრო კოდის შეცვლა, რისთვისაც საჭიროა აღნიშნულ საკითზე "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ატვირთოთ საჯარო რეესტის ამონაწერი ახალი მონაცემებით (ამჟამად წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით მიწის ნაკვეთის ფართი და საკადასტრო საზღვრები არ შეესაბამება სინამდვილეს).
2. წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათით ვერ დგინდება, თუ რომელი შენობა-ნაგებობის დემონტაჟია გათვალისწინებული. საჭიროა "მოთხოვნის ტექსტში" მიუთითოთ რომელი ნუმერაციით აღნიშნული შენობა-ნაგებობის დემონტაჟი გაქვთ გათვალისწინებული და ასევე წარმოადგინოთ საკადასტრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით. აქვე გაითვალისწინეთ, რომ I კლასის მახასიათებელია 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა.

---

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge